



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

N 46 80

21/11/2017

სამანდატო დროებითი კომისიის არჩევის შესახებ

საკრებულოს წევრთა და საკრებულოს უფლებამოსილების ცნობასთან, აგრეთვე საკრებულოს ფრაქციების შექმნასთან დაკავშირებით შესაბამისი დასკვნების მომზადებისა და საკრებულოსათვის წარდგენის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N7 დადგენილების 41-ე და 44-ე მუხლის შესაბამისად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. არჩეული იქნეს საკრებულოს სამანდატო დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- ა) იმედა რობაქიძე
- ბ) კონსტანტინე ამაშუკელი
- გ) გრიგოლ გიორგაძე

მუხლი 2. დაევალოს კომისიას თავისი შემადგენლობიდან აირჩიოს სამანდატო დროებითი კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 3. სამანდატო დროებითი კომისია თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს საკრებულოს მიერ შესაბამისი ფუნქციის მუდმივი კომისიის შექმნამდე.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მერაბ სირაძე

საკრებულოს უხუცესი წევრი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო